

სამაგისტრო ნაშრომი

რეკრეაციული ზონის განვითარება ქალაქ რუსთავში

ეკა ბაგალიშვილი



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

არქიტექტურა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა დემეტრაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა ბაგალიშვილი, 2019”.

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია, რა არის აგრო-ტურიზმი, ეკო-ინდუსტრიული პარკები, რა გავლენა აქვთ მათ ადამიანსა და ქვეყნის განვითარებაზე და რა სივრცეები შეიძლება არსებობდეს აგრო-პარკებში. ასევე, საუბარია ქალაქ რუსთავის დაარსების მიზნების, საპროექტოდ შერჩეული ტერიტორიის ისტორიის, აქ დაგეგმილი და ვერშესრულებული ფუნქციებისა და დღეს არსებული სიტუაციის შესახებ. საბოლოოდ კი, წარმოდგენილია კონცეფცია, როგორ უნდა განვითარდეს ეს სივრცე.

შესავალი: დღეს რუსთავი ორ ნაწილად არის გაყოფილი. ქალაქი ორ დამოუკიდებელ ნაწილად ვითარდება. მათ შორის კი არსებობს თავისუფალი, აუთვისებელი სივრცე, რომელიც ყველა პირობას ქმნის, გაჩნდეს ჯანსაღი, მწვანე სივრცე, რომელიც არ იქნება მხოლოდ სარეკრეაციო სივრცე. აქ წარმოდგენილი იქნება ეკო-ინდუსტრიული, აგრო-პარკი, რომელიც ქვეყანაში განავითარებს აგრო-ტურიზმს და გააცნობს სტუმრებს საქართველოს კულტურასა და ტრადიციებს.

ლიტერატურის მიმოხილვა: აგრო-ტურიზმის წარმატებით მიმდინარეობასა და აგრო-პარკის აქტიურად ფუნქციონირებას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია, თუ რა გავლენა აქვს რეკრეაციულ ზონას ადამიანზე, რამდენად კარგად მოქმედებს აგრო-ტურიზმი ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკაზე, რა ფუნქციებით უნდა იყოს დატვირთული აგრო-პარკები და რას ნიშნავს ეკო-ინდუსტრიული პარკი.

აგროტურიზმის საქართველოში განვითარებისთვის არსებობს კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. აუცილებელია, შემუშავდეს ერთიანი სქემა, მართვისა და რეგულირების მექანიზმები და ხალხური შემოქმედებითი განვითარების საერთო შესაძლებლობები.

მეთოდოლოგია: შეგროვებულ იქნება ინფორმაცია სხვადასხვა ინტერნეტ-გვერდის დახმარებით იმ ადამიანების შესახებ, ვინც აქარმოებს მცირე აგრო-ბიზნესს. ასევე, გამოაშკარავდა, რამდენად აქტიურადაა ჩართული რუსთავში საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედმცხოვრები ადამიანები აგრო-ბიზნესში.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში ადამიანები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულები სოფლის მეურნეობაში და თავდაუზოგავი შრომით სასურველ შედეგს აღწევენ. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი დაინტერესებული და დაკავებულია სოფლის მეურნეობით.

დასკვნა: აღნიშნული ნაშრომით მიღებულია შედეგი და უკვე თვალსაჩინოა, აგრო-ტურიზმისა და ეკო-ინდუსტრიული პარკების მნიშვნელობა ადამიანებისთვის და ქვეყნის განვითარებისთვის. ასევე, ნათელია, რა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო ეკო-ინდუსტრიული პარკის მშენებლობისას და რა სივრცეებით შეიძლება დავტვირთოთ აგრო-პარკი.

საკვანძო სიტყვები: ეკო-ინდუსტრიული პარკი, აგრო-ტურიზმი, საქართველო, არქიტექტურა.